დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 280 ოთხშაბათი, 16 დეკემბერი 1909 წ. № 280

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ აბრუნებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

წლიწადი მესამე **დროება** წლიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის პირობები:

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А“, И. С. Агладзе.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

კნ მარიამ გიორგის ასული ავალიშვილისა შვილებითურთ, **კნ. თამარ გიორგის ასული ჯანდიერისა** მეუღლით და შვილებითურთ და **კნ. ნინო გიორგის ასული ფავლენიშვილისა** მეუღლით და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: ძვირფასის მამისა—მარიამ ბატონიშვილის შვილისშვილის სამსახურს გარეშე მყოფის გენერალ-ლეიტენანტ

თავ. გიორგი (კიაზო) გიორგის ძის ერისთავისას

გამოსვენება ოთხშაბათს დილის ათ საათზე 16 დეკემბერს თავ. ვ. ჯანდიერის ბინიდან, ყაზბეგის ქუჩა № 41, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება სოფელ ქისტაურში (თელავის მაზრა) კვირას ოცს დეკემბერს.

თავადნი სვიმონ, მიხეილ და ზურაბ გიორგის ძენ და კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული ერისთავნი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—ძვირფასის მამისა და უკანასკნელი—მამამთილისა მარიამ ბატონიშვილის შვილის-შვილის, სამსახურს გარეშე მყოფ გენერალ-ლეიტენ.

თავ. გიორგი (კიაზო) გიორგის ძის ერისთავისას.

გამოსვენება ოთხშაბათს დილის 10 საათზე 16 დეკემბერს თავ. ვ. ჯანდიერის ბინიდან, ყაზბეგის ქუჩა № 41, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება სოფელ ქისტაურში (თელავის მაზრა) კვირას 20 დეკემბერს.

---

19 ამ დეკემბერს, დილის 10 საათზე, შორაპნის მაზრის ითხვისის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

მარიამ (მარო) ლევანის ასულის აბდუშელიშვილის

სულის მოსახსენებლად. რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის მამამთილი მღვდელი **დიმიტრი** და მეუღლე **ვასილ დიმიტრის ძე აბდუშელიშვილები.** (1—6.—1)

საიუბილეო **ვერის სახალხო აუდიტორია** წარმოდგენა.

ოთხშაბათს, 16 დეკემბერს, 1909 წელს.

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ.

ვერის სახალხო ქართულ სცენის მოყვარენი გამართავენ **საიუბილეო** წარმოდგენას **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა** და **ე. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„ხ ა ნ უ მ ა“

კომ. 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები უკვე იყიდება აუდიტორიის კასაში საღამოს 5—8 საათამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 26 დეკემბერს.

რეჟისორი **გ. იორდანიშვილი.** ადმინისტრატორი **მკერვალი სამსონა.**

ჭიათურის ქართულ-დრამატ. საზოგადოება

კვირას, 20 დეკემბერს, 1909 წელს.

ნ. მ. გაბუნია ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა

ჭიათურის სცენის მოყვარეთა მიერ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ხ ა ნ უ მ ა

კომედია 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

წარმოდგენის შემდეგ **აპოთეოზი.**

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ს. ტარუაშვილი.** ად.-ტორი **ჭიათ. ქართ.-დრ. ს. გამგეობა.**

◀ **გაზეთ „დროების“ რედაქციის კანტორაში** ▶

მიიღება ხელის მოწერა

Bâton-ის წიგნზე:

„ერი და პატრიოტობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრით“

დასახლოვებით 250—300 გვ. ✦ ეხლავე ხელის მომწერთათვის ფასი **60 კ.**

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** ისიდ. კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში, **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ხონში**—გიგლა მებუკესთან.

გამომცემელი **მ. ხუცაშვილი.**

სამეურნეო ჟურნალი

მ ო ს ა ვ ა ლ ი

◀ **წელიწადი მეორე** ▶

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „МОСАВАЛИ“.

(5—1)

გლეხი-კაცის ისტორია

◀ **მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე** ▶

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ და „მომავლის“ ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—9)

1910 წელს კვლავ გამოვა საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი 1910 წელს

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. «ნ ა კ ა დ უ ლ ი ს» რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად ხაბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. „დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი“—ზღაპარი ევალდისა; 2. „მარჯნები“—ზღაპარი ევალდისა; 3 „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

რედაქტორი: **მარიამ ივანეს ასული დემურია.** გამომცემელი: **თ. პავლეიოსების ძე თუმანიშვილი.**

(6—2)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—14)

ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—73)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—6.—5)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხოხოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—63)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა,

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—ნ.—225)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიეისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ღუთხე). (100—ზალ.—86)

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მეძღვრი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—72)

ექიმი ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ქუთაისი მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა.

ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—ნ.—23)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—131)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—24)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ და შინ. 11—12 ს

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სააავადმ. განყოფილება შესდგება სახოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—83)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—127)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიშრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—68)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოროვის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—321)

ინტელიგენტის ოჯახი ელისაბედის ქუჩაზე, № 69, კარგს სადგომში, **მიიღებენ ორს მოწაფეს იაფად.** ოთახი ნათელი და დიდია (შესავალ კარების მარჯვენა ზედა კარი). (5—3)

სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

შეკითხვა აფეთქების შესახებ.

სათათბიროს 14 დეკემბრის სხდომა ცოტად თუ ბევრად საინტერესო იყო. ამ დღეს სათათბირომ განიხილა შეკითხვა იმ აფეთქების შესახებ, რომელიც პეტერბურგში მოხდა, ასტრახანის ქუჩაზე, და რომლის დროსაც მოკვდა „ოხრანი“ განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კარპოვი.

ამ შეკითხვამდე სათათბირომ მოისმინა განცხადება ოდესის ახლად არჩეულ დეპუტატის ბროდსკისა, რომელმაც უარი სთქვა დეპუტატობაზე. შემდეგ განიხილა მემარჯვენეთა წინ დადება—სათათბირო ცხლავე შეუდგეს ბიუჯეტის ცალკე ალრიცხვების განხილვას საბიუჯეტო კომ სიის წარმომადგენლის გოდნევის განმარტების შემდეგ სათათბი-

რომ ეს წინადადება უარ-ჰყო. როგორც გოდნევის სიტყვებიდან აღმოჩნდა, 1910 წლის მთელი აღრიცხვა მომავალ თებერვლის პირველ რიცხვებისთვის იქნება მზად და სათათბიროც მაშინ შეუდგება ბიუჯეტის განხილვას. მერე სათათბირომ დაამთავრა მუხლობრივ განხილვა კანონ-პროექტისა დაბა ქალაქის უძრავ ქონებაზე სახელმწიფო გადასახადის დაწესების შესახებ.

დასასრულ სათათბირომ განიხილა სამი უმნიშვნელო კანონ-პროექტი და გადავიდა ზემოხსენებულ შეკითხვაზე. როგორც ვიცით, ეს შეკითხვა კადეტებმა რამდენიმე დღის წინად შეიტანეს. შეკითხვათა კომისიამ ერთი თვე არ მოიცადა, როგორც წესია, უარ-ჰყო შეკითხვა და ეხლავე წარუდგინა სათათბიროს.

მომხსენებლად გამოვიდა ცნობილი გრაფი **ბობრინსკი**. მან სთქვა: ეს შეკითხვა 37 დეპუტატმა ალბად დაამყარა იმ ნაწყვეტ ამბებზე, რომელიც პირველ ხანს გაზეთებში დაიბეჭდა. ეს ამბები არაფერზე არ იყო დაფუძნებული და მეორე დღესვე, გაზეთების ახალ ცნობებთან ერთად, ნიადაგი გამოეცალა შეკითხვასაო. შემდეგ ორატორი შეეხო წარსულ კრებაზე წარმოთქმულ მილიუკოვის სიტყვას. ამ სიტყვაში ბევრი რამ არის ერთიმეორის წინაალმდეგი, დაუმთავრებელიო. მილიუკოვის სიტყვა იეზუიტობით და მაკიაველიზმით იყო გამსჭვალული და ამ სათათბიროს პატივის ცემა მაიძულებს, მილიუკოვის საქციელს ნამდვილი სახელი არ ვუწოდოო. კომისიამ ვერავითარი უკანონობა ვერ დაინახა პოლკოვნიკ კარპოვის მოქმედებაში. კარპოვი მსხვერპლი გახდა თავის მოვალეობისა. მან თავი შესწირა მეფესა და სამშობლოს და ჩვენ, რუსის ხალხის წარმომადგენელნი, არ მივცემთ ნებას მგელკაცებს დაჰფლითონ ცხედარი და შეურაცხყონ მისი სახელიო. შემდეგ ბობრინსკი ამტკიცებდა, რომ შეკითხვა დასაბუთებული არ არისო და პროვოკაცია, რომელსაც განსვენებულს აბრალებენ, სხვაგან უნდა ვეძებოთ. პროვოკაცია იყო, მაგალითად, მილიუკოვის თათბირი ტერორისტებთან პარიზში; პროვოკაცია იყო კადეტების საქციელი, როდესაც ისინი ტაშს უკრავდნენ დუბასოვის მოკვლის განზრახვას, აქეზებდნენ ჰრესსას გენერალ პავლოვის წინააღმდეგ: პროვოკაცია ჩაიდინა პირველმა სათათბირომ, როდესაც მან უარი სთქვა ტერორის გაკიცხვაზეო. ბოლოს ბობრინსკიმ წინადადება მისცა სათათბიროს, უარჰყოს შეკითხვა (ტაში ცენტრსა და მარჯვნივ).

მილიუკოვმა კვლავ წარმოსთქვა სიტყვა. მან პირველად აღნიშნა ის, რომ კომისიამ შეკითხვის შემტანთა სურვილი არ აასრულა და ერთი თვის ვადა არ დანიშნა მოსამზადებლად. ტყუილად სცდილობთ,—მიმართა მილიუკოვმა ცენტრსა და მემარჯვენეებს:—ჯვარს აცვამთ ჩვენი შეკითხვა, ტყუილად აფარებთ ხელს მთავრობას; ამით თქვენ ზღუდავთ ჩვენს უფლებას შეკითხვის შეტანისას და მთავრობასაც უსპობთ პასუხის მოცემის საშუალებასაო. შემდეგ ორატორი, ბურცევისა და საზღვარ-გარეთის და რუსულ პრესის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებზე დამყარებული ამტკიცებდა, რომ ბინა ასტრახანის ქუჩაზე, სადაც აფეთქება მოხდა, დაქირავებული ჰქონდა თითონ პოლკოვნიკ კარპოვს, რომ ასეთი კონსპირატიული ბინები ჩვეულებრივი მოვლენაა საიდუმლო პოლიციის უფროსებისთვის, რომ კარპოვი მიხეილ ვოსკრესენსკიმ კი არ მოჰკლა, არამედ ალექსანდროვმა და პეტროვმა, რომ კარპოვმა კარგად იცოდა, რაც იყო კონსპირატიულ ბინაზე, რომ ასეთ აფეთქებებს თითონ საიდუმლო პოლიცია მოაწყობს ხოლმე მაშინ, როცა საგანგებო წესების მოხსნის ვადა ახლოვდება. მილიუკოვმა ისიც განაცხადა, რომ აფეთქება ადრე მოხდაო. დასასრულ, ორატორმა სთქვა, რომ შეკითხვის ავტორები კარპოვს კი არა, იმ სისტემას ამტყუნებენ, რომელიც ასეთი საშუალებით ებრძვის რევოლიუციას და რომელიც აჩენს დეგაევებს, სუდეიკინებს, აზეფებს, კარპოვებს და ვოსკრესენსკებსაო. ჩვენ არაფერს წავაგებთ, თუ თქვენ დღეს პირში ბურთს ჩაგვჩრით, რადგან ხვალ ვიტყვით იმას, რის ნებასაც დღეს არ გვაძლევთ, ხოლო თუ თქვენ კისრულობთ მთავრობის მაგიერ პასუხის მგებლობას, გახსოვდეთ, რომ ჩვენ ეს არა გვშურს (ტაში მარცხნივ).

გრ. ბობრინსკიმ სთქვა: მილიუკოვმა კომისიაში გადაჭრით განაცხადა, რომ აქვს ფოტოგრაფიული სურათი, სადაც კარპოვი და ვოსკრესენსკი გადაღებულნი არიან პოლტავის დღესასწაულებზე ხელმწიფის სხვა დამცველებთან ერთად. მილიუკოვმა დაუმატა ისიც, რომ ვოსკრესენსკი ბუნდოვნად არის გადაღებული და შეიძლება არა ჰგავნდესო. საქმე ის არის, რომ კარპოვი პოლტავის დღესასწაულზე სულ არა ყოფილაო.

ილაპარაკეს სხვებმაც. ზოგიერთა მემარჯვენე ორატორმა წინადადებაც-კი შეიტანა, ზიზღი გამოუცხადოთ კადეტებსაო.

სოკოლოვმა მეორემ პროგრესისტების სახელით არსებითად მხარი დაუჭირა შეკითხვას, თუმცა სთქვა, შეკითხვის ფორმულიროვკის თანახმა არა ვართო.

შეკითხვის განხილვა ამ სხდომაზე არ დამთავრებულა და გადაიდო 16 დეკემბრისთვის.

დეპეშები

პეტ. (რბ.) დეპეშათა სააგენტოსაგან
16 დეკემბერი.

საზღვარ-გარეთ

პარიზი. დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს რადიკალმა ლაროშმა და სოციალისტმა პრესსენსემ შეიტანეს შეკითხვა, იცის თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომ როდესაც რუსეთში ებრაელები, საფრანგეთის სასულიერო პირები და თავისუფალი მოაზრეები, მოგზაურობენ, მათ რუსეთის ადმინისტრაცია ხელს უშლის და თუ იცის რა ზომებს იღებსო. გარეშე საქმეთა მინისტრმა, პიშონმა მაშინვე განაცხადა: ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებები ისეთნაირად არიან შედგენილნი, რომ ყველას საშუალებას აძლევენ როგორც უნდა გაიგოს ესა თუ ის ხელშეკრულება. ყოველ შემთხვევაში ფრანგებმა პატივი უნდა სცენ რუსეთის კანონებს და პოლიციასო. პიშონმა პალატას აღუთქვა, ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთო. პალატამ თითქმის ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მთავრობას ნდობა ეცხადება და იმედია გამოთქმული, რომ მთავრობა რუსეთთან მოლაპარაკებას გამართავს და ამ საკითხს მოაწესრიგებს.

დრეზდენი. გარდაიცვალა პრუსიის ზედა პალატის წევრი, ცნობილი მილიონერი და ბანკირი მენდელსონი.

ჰამბურგი. დაიწყო სიონისტების კონგრესსი. კონგრესში მონაწილეობას იღებენ ყველა ქვეყნებიდან გამოგზავნილი დელეგატები.

ლონდონი. ბომბეიდან „ტაიმსს“ დეპეშით ატყობინებენ: ოლქის უფროსის მოსამართლე ჯაკსონის მოკვლის გამო პოლიციამ დააპატიმრა 15 კაცი. პოლიციამ აღმოაჩინა დიდ ძალი იარაღი და მიწერმოწერა. წერილებში გარკვევით არის აღნიშნული შეთქმულების გეგმა.

კელნი. „კელნიშე-ცაიტუნგს“ შანხაიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხრეთ ჩინეთიდან ჩამოსულმა, რევოლიუციონერმა განიზრახა პრინც-რეგენტის მოკვლა. როდესაც პრინცი-რეგენტი ეტლიდან სასახლის წინ გადმოვიდა, რევოლიუციონერმა რეგენტს მუცელში ხანჯალი ჩასცა. პრინცი-რეგენტი ჩუნი მსუბუქად დაიჭრა. ბოროტგანზრახველი დააპატიმრეს. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ნიუ-იორკი. აღმოსავლეთ შეერთებულ შტატებში ორი დღის განმავლობაში ნამქერია. უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ასეთი ნამქერი არავის ახსოვს. ჩესლში, მასაჩუზეტსის შტატში, დაიღუპა სამი კაცი, 1,500 კაცი უსახლკაროდ დარჩა. ნიუ-იორკში დაიღუპა 15 კაცი.

რუსეთი

პერმი. საგუბერნიო ერობამ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 150,000 მანეთი. ამ ფულით სხვა და სხვა სოფლებში სასწავლებლებისთვის საჭირო შენობები უნდა აიგონ.

ჩერნიგოვი. ნოვოზიბკოვის ქალაქის საბჭომ დაადგინა, მომავალ წლიდან ქალაქში განახორციელოს საყოველთაო სწავლა.

პეტერბურგი. ოლქის სასამართლომ გაარჩია ბრიანის ქარხნების გამგეობის თავმჯდომარის გორიანოვის საქმე. ჰბრალდებოდა 39,000 მანეთის გაფლანგვა. სასამართლომ გორიანოვი გაამართლა.

პეტერბურგი- დღე-ღამეში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

მარჯორი უარდროპი

ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ლიტერატურას დიდი მწუხარება ეწვია: ბუხარესტში მოულოდნელად გარდაიცვალა ჯერეთ ძალღონით სავსე და შრომით გატაცებული მარჯორი უარდროპი.

განსვენებულის სიკვდილით საქართველომ დაჰკარგა დიდი მცოდნე ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურისა და ამასთან ერთად ღრმად მოსიყვარულე და ერთგული მეგობარი. არ გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ განსვენებული სცოცხლობდა ჩვენის ქვეყნის სიხარულით და ვარამით. იგი დღითი-დღე გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს ცხოვრებას ჩვენივე გაზეთებით. სადაც უნდა ყოფილიყვნენ განსვენებული და მისი უფროსი ძმა, კონსული და ავტორი წიგნისა „საქართველოს სამეფო“, ოლივერ უარდროპი,—ლონდონში, პეტერბურგში, ჰაიტის კუნძულებზე თუ ბუხარესტში—ქართული გაზეთები და ჟურნალები განუწყვეტლივ მისდიოდათ, ჰქონდათ ხშირი მიწერ-მოწერა ქართველ მეგობრებთან და კავშირი საქართველოსთან არასოდეს არ შეუწყვეტიათ.

მარჯორი უარდროპს უკანასკნელ წუთამდე არც მუშაობა შეუწყვეტია საქართველოს ლიტერატურისა და ისტორიაზე. მან გამოსცა ინგლისურად:

1. ცხოვრება წმ. ნინოსი.
2. „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა. საუცხოვო თარგმანია ლექსად.
3. ქართული სახალხო ზღაპრები.
4. „სიბრძნე-სიცრუე“ საბა-სულხან-ორბელიანისა (გადათარგმნა ძმასთან ერთად).
5. უდიდესი საქმე განსვენებულის ცხოვრების უკანასკნელ ათი წლისა იყო შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმანი. სთარგმნიდა ამ პოემას ლექსად ძმასთან ერთად. მაგრამ განსვენებული დიდად აფასებდა ამ ნაწარმოებს და უნდოდა სავსებით გადაეღო ინგლისურად მისი სიმშვენიერე და სიმდიდრე, ამიტომ მთელი ათი წელიწადი მუშაობდა მაზე და დღემდე ვერ გაებედნა სტამბაში გადაცემა დასაბეჭდათ.

უდროო სიკვდილმა ბოლო მოუღო ამ დიდ და მეტად ნაყოფიერ შრომას.

მარჯორი უარდროპი დაიბადა 1869 წელს და განათლება შინ, თავის ოჯახში, მიიღო. საუცხოვო ლინგვისტმა მარჯორი უარდროპმ მშვენივრად იცოდა ენები, თავის სამშობლოს ინგლისურს გარდა, ფრანგული, იტალიური, გერმანული, რუსული, რუმინული და ქართული. ქართულ ენით და საქართველოთი პირველად დაინტერესდა მაშინ, როცა მისმა ძმამ ოლივერმა გამოსცა თავისი მგზავრობა ამ სათაურით: „საქართველოს სამეფო“. ბროსეს გრამატიკისა და ლექსიკონის შემწეობით განსვენებულმა სავსებით შეისწავლა ქართული ენა და მრავალი წლის განმავლობაში შეჰკრიბა მშვენიერი ქართული ბიბლიოთეკა.

მარჯორი უარდროპი თავის ორი ძმით, დედით და მამით ჩვენ ქვეყანას ეწვია, მოიარა და დაათვალიერა ყოველი კუთხე საქართველოსი. ამ მოგზაურობამ ჩაუნერგა სიყვარული ჩვენის ქვეყნისა და ხალხისა. აღტაცებული იყო საქართველოს მდიდარი ბუნებით. განსვენებულმა დიდი ხსოვნა დასტოვა ნაცნობ ქართველობაში. არც საკვირველია, რადგან იგი საუცხოვო ადამიანი იყო. მასში შეერთებულიყო უმაღლესი და უკეთილშობილესი თვისებანი დედაკაცისა მამაკაცის გულადობასა და შრომის მოყვარეობასთან ერთად. ლმობიერი, მოსიყვარულე მისი გული ანდამანტი იყო. უბრალო მოსამსახურენიც, ერთხელვე მასთან დამდგარნი, არა შორდებოდნენ და თან მისდევდნენ რუსეთში, ჰაიტის კუნძულებზე ნეგრებთან, რუმინიაში,—ერთის სიტყვით ყველგან, სადაც-კი ბედი გადასტყორცნიდა. პატარა თავისუფალი ჩიტებიც-კი, ბეღურები, შოშიები და შაშვები, ჰგრძნობდნენ მის მოსიყვარულე გულს, მისი სახლი სავსე იყო ამ ფრინველებით და ხშირად თავს დასტრიალებდნენ. მახსოვს, ერთი ჩიტი შემოფრინდა სასადილო ოთახში, როდესაც განსვენებული გარედან შემოვიდა, დაუჯდა სტოლზე და თეფშიდან ჰკენკავდა საჭმელს, ხშირად თავზედაც შეახტებოდა ხოლმე...

ასეთი იყო ეს მშვიდობიანი და ლმობიერი, ნასწავლი და ნიჭიერი მეგობარი ქართველებისა. მისი მშვენიერი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში და მომავალში იგი არა ერთ ქართველ ქალს აღაფრთოვანებს შრომისა სიყვარულისა და თანაგრძნობისათვის. **ვ. ჩერქეზიშვილი.**

რესტავრაცია თუ ლიკვიდაცია
საქართველოს საეკლესიო მართვა-გამგეობისა?

ამ სათაურით „პეტერ. ვედომოსტში“ (№ 271) დაბეჭდილია წერილი პროფესორ ა. ცაგარლის. მოგვყავს წერილი სრულიად.

ჩვენი მწერლობის ისტორიიდან

ბაირონიზმი ჩვენში.

(დასასრული *)

მესამე. საფეხური**) ბაირონის უარყოფის ევოლიუციაში არის დემონიურ გმირების ცდა, რომ თავიანთ თავს ჯერ საზოგადოებრივ ფარგლებში უწამლონ და მასთან კავშირი არ შესწყვიტონ. როგორც დარდ-ბოლმით შეპყრობილი ადამიანი მოწადინებულია ჯავრი ღვინოში ჩაჰკლას, ისე ბაირონის გმირიც სიყვარულით ფიქრობს კაეშნის გაქარვებას. მაგრამ, ვერც ღვინო ჯავრს ვერა სპობს, სიყვარულიც ვერ აქრობს დემონიურ ცეცხლს, იგი მხოლოდ დროებით აყუჩებს გრძნობებს, ვინაიდან უმოწყალო რეფლექსია აქაც მალე იჩენს თავს, ამიტომ მშრალი ანალიზის შხამი სიყვარულის უძლიერეს გრძნობას სიტკბოების წვენს აცლის. სიყვარული ერთგვარი სტიქიონია, იგი სავსებით მაშინ მოქმედებს, როცა უპირატესობა გრძნობასა აქვს, ხოლო თუ თითოეული ფეხის-ნაბიჯი გონების-მიერ მრავალ-ჯერ გაზომილი და გათვალისწინებულია, იმ შემთხვევაში მას პირდაპირობა, ბუნებრიობა აკლდება და სიყვარული კი არა, მისი მხოლოდ ჩონჩხი-ღა რჩება. პეჩორინის (გმირი ლერმონტოვის რომანისა „Герой нашего времени“) ცხოვრება ჩვენის სიტყვების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს.

სიყვარული, რაც უნდა მძლავრი, გიჟური, თავ-დავიწყებული იყოს, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მგოსანსაც, და ახლა იგი „ლოცვაში“ სარწმუნოებას მიმართავს, იმ იმედით, რომ თავის სულიერ ჭრილობებს აქ მაინც განიკურნებს. სამწუხაროდ, პოეტს ბედი არც აქა სწყალობს: სარწმუნოება სავსებით დოგმატიურ რწმენაზეა დამყარებული, ხოლო რწმენას მტკიცე საფუძველი საშუალო საუკუნოებში ჰქონდა. დონ-კიხოტი ფეოდალიზმის შვილი იყო, მას ფაქტებისა არა სჯეროდა რა, ვინაიდან ილიუზიებს, ოცნებას მეტ ფასს აძლევდა; იმის რწმენაში სკეპტიციზმის, ეჭვის ნატამალიც არ მოიპოვებოდა, და ამიტომ მისი შეხედულებანიც შეურყეველი იყო. თუმცა ქარის წისქვილებს ებრძოდა, მაგრამ მას გულ-წრფელად სწამდა, რომ დევებს მუსრს ავლებდა ამ ზომამდე შეურყეველი იყო მისი რწმენა. დონ-კიხოტი ფეოდალისტურის რწმენის სიმბოლოა, რადგან მთელი საშუალო საუკუნოების მსოფლმხედველობას დონ-კიხოტისებური რწმენა ასულდგმულებდა. სამაგიეროდ, ახალმა დრომ—ტეხნიკის განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ — ადამიანი გარემოცულ წრესთან პირის-პირ დააყენა, ბუნებაზე გაბატონა, თავისი ძალა აგრძნობინა და ოცნებისათვის ზურგი შეაბრუნებინა. ილიუზიები გაქრა, დონკიხოტები გადაშენდნენ და მით შეგნებულ კაცობრიობის რწმენასაც საძირკველი გამოეცალა. რასაკვირველია, ნ. ბარათაშვილი სულის სიმშვიდეს ვერც სარწმუნოებაში ჰპოულობს, ვინაიდან იგი ახალი დროის შვილია, ვინაიდან მისი რწმენა სკეპსისის გამო ძირიან-ფესვიანად არის შერყეული.

ასე და ამგვარად, პიროვნება იძულებულია სხვა გზა მონახოს და თუ ხანგრძლივი არა, დროებითი სულის მყუდროება მაინც მოიპოვოს.

მეოთხე საფეხურზე პიროვნება ცხოვრებას გაურბის და დროებით თავ-დავიწყებას ხელთ-უქნელ და ხელ-უხლებელ ბუნების კალთებში, მის უმანკოებით სავსე სიმშვენიერეში, მის ქალწულებრივ სიტურფეში ჰპოვებს. სადაც თვალ-უწვდენელი მთის მწვერვალნი აღიმართებიან და უტეხი ტყეებია გადაჭიმული, სადაც გადუღებული მზე დაჰყურებს ცოდვით სავსე დედამიწას და კაცის თვალს მხოლოდ ფრიალო კლდე ახარებს, სადაც დევ-გმირი ოკეანე ზვირთს ზვირთზე ისვრის და სარკისებური ცის ლაჟვარდი გულ-უხვათაა გადაწვდენილი—აი, იქ არის დემონიურ პიროვნების სამშობლო, იქ არის ბაირონის გმირთა ნავთ-საყუდარი. ბაირონს განსაკუთრებით მოსწონს სტიქიონის ბრძოლა და შეხეთქ-შემოხეთქება, მას გრიგალი და ქარიშხალი უფრო იზიდავს. „ბუნება მე მაშინ მიყვარს, როცა იგი მრისხანებსო“, ამბობს ჩაილდ-ჰაროლდი (2 თავი).

ბუნებისადმი ლტოლვილება ემჩნევა აგრეთვე ჩვენ პოეტსაც, მაგრამ ის სულ სხვაგვარ ბუნებას შესტრფის. მთაწმინდის მყუდრო საიდუმლოებით სავსე სალამო, შორი-ახლო გველურად დაკლაკნილი ანკარა მტკვარი, მაღლა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და დაბლა კი წყვდიადში გახვეული სასაფლაო,—აი, რას შეჰხარის ნ. ბარათაშვილი. ბაირონს სასაფლაო ვერ იზიდავს, იქ ბრძოლა შეწყვეტილია, იქ თოფ-იარაღი დაყრილია; მას სურს, რომ საგულეში გული ტოკავდეს, რომ ძარღვებში სისხლი სჩქეფდეს, რომ თავში აზრი მუშაობდეს. მას ეჯავრება სიკვდილი, ვინაიდან იგი ყოველსავე მსვლელობას აჩერებს და განვითარებას წერტილს უსვამს. ბაირონის კაინი სიკვდილს უსაშინელეს ბოროტებად სთვლის. სულ სხვა გვარია ბარათაშვილი. მისი ბუნება ნაზია, მისი ტემპერამენტი, როგორც თავში მოვიხსენიეთ, პასიურია, ამიტომ მას უყვარს სასაფლაო, იქ ტანჯვა-წვალებას ადგილი არა აქვს, იქ ზიზღმძულვარებასა არა ისმისარა,

ჩვენ მგოსანს მტკიცედ სჯერა, რომ ბუნებას გაეგება მისი, ჰგრძნობს და თანაუგრძნობს მის ჭირსა და ვარამს. კიდევ მეტი, იგი დარწმუნებულია, რომ უსულო საგნები, ბუნების ძალები ერთმანეთს ესაუბრებიან, თავ-თავიანთ აზრს უზიარებენ, ერთმანეთს რჩევასა და დახმარებას თხოვენ.

> მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაგნოთაც და უსულთ შორის,
> და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!

გვარწმუნებს ბარათაშვილი თავის „ჩინარში“. როგორც ვთქვით, პოეტს საზოგადოება არ მოსწონს, ვინაიდან მისი არაფერი სჯერა, ამავე დროს იგი ბუნებაშია შეყვარებული და თანაც დარწმუნებული, რომ სული, შეგნება, ღვთაება მთელ სამყაროშია გაბნეული. ცხადია, რომ თავის ნაჭირნახულევს იგი ადამიანს კი არა ბუნებას გაანდობს, თავის გულის ნათხრობს ბუნებას გაუზიარებს, სწორედ ამიტომ არის, რომ ბაირონის და ბარათაშვილის ლირიკული სიმები სავსებით მაშინ აჟღერდებიან, როდესაც ისინი პირდაპირ ბუნებას მიმართავენ, და თავიანთ უარყოფის მთავარ მუხლებსაც მის წინაშე ალაგებენ. წაიკითხეთ, მაგ., ჩვენი პოეტის „შემოღამება მთა-წმინდაზედ“ და ნათლად დაინახავთ, თუ რამდენად ძლიერია იგი, როგორც ლირიკოსი. პოეტი სწერს ისე, როგორც ფიქრობს და ჰგრძნობს, მისი შარავანდედით მოსილი გენია აღტაცებით შესცქერის პოეზიით სავსე სალამოს, ხან მცინარ და ხან ცრემლიან მთას, ბინდით მოცულ ცისა კამარას, ცელქად მოციმციმე ვარსკვლავებს, ეშხით დამწვარ მთვარეს, მაგრამ რაც უმთავრესია, პოეტს ერთი წუთითაც არ ავიწყდება საკუთარი თავი, სულიერი ტრაგედია. მისი გრძნობები თქვენ წინ ძალ-დაუტანებლად იშლებიან, პოეტი ბუნებას უერთდება, მასში ითქვიფება, მაგრამ იმავე დროს მისი „მე“ „მედ“ რჩება, მისი პიროვნება არ იკარგება. ღელეებიდან ამოვარდნილი ნიავი პოეტის გულის თრთოლვას ნანას ეუბნება, მყუდროობით მოცული არე-მარე მგოსნის სულის გაწყობილებას დასტურს უკრავს. თითოეული სიტყვა ხსენებულ ლექსში დავადებულ სულის მწარე ამონაკვნესია, დაწყლულებულ გულის გულ-წრფელი ამოძახილია. თითოეული გამოთქმა მასში უიმედოდ ქვითინებს, კრიალა ცრემლების თვალ-მარგალიტებს აფრქვევს, თითოეული სტრიქონი სისხლით სავსე ნაღველს ასხამს, კაეშნისა და გულის მწუხრის კოკრად იშლება:

> სდუმდა ყოველი მუნ არე-მარე, ბინდი გადეკრა ცისა კამარას,
> მოსდევს მთვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკლავი მარტო მისა ამარას;
> განახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მოქანცებული?
> მას გავდა მთვარე, ნაზათ მოვარე, დისკო გადახრით შუქ-მობინდული!

თუ ლექსს თავიდან ბოლომდის გადაიკითხავთ, იცნობთ ბარათაშვილს. წყნარი ოცნების მოყვარული, ჩვილი, სათუთი ბუნების პატრონი, მარად ობოლი, მუდამ უბედური და სასოწარკვეთილი—აი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოველი სურათი.

ასე ხალისიანია ბარათაშვილი და მასთან ერთად ბაირონი, როდესაც მათ ბუნებასთან აქვთ საქმე.

მეხუთე ფაზისი ბაირონიზმის განვითარებაში—ეს ცხოვრებაზე გულის ტკრუების უმაღლესი წერტილია. წინად პიროვნებას არ მოსწონდა ადამიანთა ცხოვრება, მათი მუხანათობა, მათი ორგულობა, ახლა კი ის უარყოფის პრინციპს აფართოებს, აზოგადებს, აღარ მოსწონს თვით მსოფლიო, თვით მისი განვითარება და წეს-რიგი. იგი მთელ ქვეყნიერობაში ცუდის და ავის მეტს ვერაფერს ჰხედავს. ჩვენ ვიბადებით, ვკვდებით, ვწვალობთ და ვიტანჯებით, ვსუსტობთ და ვავადმყოფობთ, ცოდნის წყურვილი გვაქვს და ვერ ვიკმაყოფილებთ, ჩვენ ერთგვარი სათამაშო, ერთნაირი უსულო ტიკინები გავმხდარვართ ბუნების ხელში. არავინ გვეკითხება გვსურს თუ არა სიცოცხლე, თანახმა ვართ თუ არა მოვკვდეთ. არავინ გვატყობინებს. რა არის მიზანი ჩვენის ცხოვრებისა და ქვეყნის არსებობისა. რა როლს თამაშობს ჩვენი

---

*) იხ. „დროება“ N 279.

**) წინა ფელეტონში გამოტოვებულია ერთი ადგილი. ის ფელეტონი (N 279) ასე უნდა თავდებოდეს: „დ) ყოველივე ზემოხსენებულთან, ბარათაშვილი პასიურ ტემპერამენტის ადამიანი იყო და საზოგადოებასთან ბრძოლა იმის ბუნებას არ შეეფერებოდა.“

გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ მე-12052 ნომერში დაიბეჭდა შენიშვნა იმის შესახებ, რომ სინოდს გადაწყვეტილი აქვს გააუქმოს საქართველოს საექსარხოსო და იმის ნაცვლად დააწესოს რამდენიმე საეპისკოპოსო. სატახტო ქალაქების სხვა გაზეთები კი სწერდნენ, საქართველოს საექსარხოსოს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, სინოდი ამ საკითხის შესახებ კავკასიის ნამესტნიკს შეეკითხა, ნამესტნიკმა სინოდს უპასუხა, საქართველოს საექსარხოსო უნდა დარჩესო და სხვა. ასე თუ ისე სინოდში ერთხელ კიდევ შეეცადნენ, რომ საქართველოს ეკკლესია უფრო დაემცირებინათ, დაეყოთ საქართველოს საექსარხოსო რამდენსამე დამოუკიდებელ საეპისკოპოსოდ, ხოლო საეპისკოპოსოები პირდაპირ სინოდისთვის დაემორჩილებინათ. საქართველოს ეკკლესიის დამცირებას სინოდი 1906 წელსაც შეეხებოდა იმ განსხვავებით, რომ მაშინ ექსარხოსის გაუქმება არა სწადდათ, მაგრამ თათბირში მონაწილეობას იღებდა ორი ქართველი ეპისკოპოსი. მათ ამის შესახებ წერილობითი პასუხი შეიტანეს. ეპისკოპოსები სწერდნენ: საქართველოს ეკკლესიის საკითხის ასეთი გადაწყვეტა მიზანს ვერ მიაღწევს. ამით ვერ აღადგენთ ქართველ ხალხში ვერც სარწმუნოებას, ვერც მშვიდობიანობას და წესიერებასო. საქართველოს სამღვდელოება და ხალხი თავის პეტიციებში თხოულობს საქართველოს კათალიკოსის აღდგენას და საქართველოს ეკკლესიის მმართველობის ძველ კანონიურ ნიადაგზე დაყენებას.

1906 წლის 11 აგვისტოს გამოიცა უმაღლესი ბრძანება—სრულიად რუსეთის მომავალმა საეკლესიო კრებამ მსჯელობა იქონიოს საქართველოს ავტოკეფალიის შესახებაო.

სრულიად რუსეთის საეკკლესიო კრების წინასწარ თათბირის მეორე განყოფილებაში, სადაც საქართველოს საექსარხოსოს საქმეების მოწესრიგებაზე თათბირობდნენ, არსებითად არც კი შეეხებიან საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიას. ამ განყოფილებაში არ წაიკითხეს ზემოხსენებული უმაღლესი ბრძანება, არ გააცნეს განყოფილების წევრებს ქართველების პეტიცია და განყოფილებამ არ გამოჰყო მცირე კომისია, რომელშიაც საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის მცოდნე პირები უნდა შესულიყვნენ. ამის გარდა, განყოფილებაში 20 წევრი იყო და აქედან მხოლოდ ოთხი იყო ქართველი; საკითხსაც საეკლესიო თვალსაზრისით კი არ უყურებდნენ, არამედ პოლიტიკურისა და ფინანსიურის თვალსაზრისით და სხვა. განყოფილებაში მერამდენჯერმე განვაცხადე, განყოფილების კომპეტენციაში არ შედის პოლიტიკა, რისთვისაც სხვა ორგანოებია მეთქი. მაგრამ არა გამოვიდა რა. საკითხის პოლიტიკურ ნიადაგზე დაყენებამ და ისტორიულ ფაქტების დამახინჯებამ საქართველოს ეკკლესიის წარმომადგენელნი დაარწმუნა, რომ განყოფილების უმრავლესობასთან ვერ შეთანხმდებიან და საქმეს მშვიდობიანად ვერ დააბოლოვებენ, ამიტომ განყოფილებას თავი მიანებეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, მეორე განყოფილების უკანასკნელ სხდომებზე ვოსტორგოვს რუსს წევრებისთვის წარუდგინა ორი პროექტი. განყოფილებამ მხოლოდ ერთ პროექტს უყარა კენჭი, სახელდობრ საქართველოს საეგსარხოსოს სამიტროპოლიტოდ გადაკეთებას. ამ პროექტს მიემხრო რუს წევრების უმრავლესობა. ეს საკითხი ეხლაც გაურჩევია სინოდის კომისიას. კომისიაში მონაწილეობა მიუღიათ უმთავრესად საქართველოს საეგსარხოსოში მყოფ სასულიერო პირებს, რომელნიც ძალიან უკმაყოფილონი არიან თავიანთ მოქმედების კრიტიკით. ამ კომისიის სხდომებს საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლები არ დასწრებიან.

როგორც ისმის, კომისია იმ დასკვნამდის მისულა, რომ საქართველოს ეკლესიის „საკეთილდღეოდ“ არა თუ კათალიკოსი, არამედ ექსარხოსი და მიტროპოლიტებიც საჭირონი არ არიანო. საქართველოს საექსარხოსო უნდა გაიყოს რამდენსამე დამოუკიდებელ საეპისკოპოსოდ. როგორც ამბობენ, სინოდის წევრნი არ დათანხმებულან კომისიის ამ დადგენილებას და მისი გადაწყვეტილება მხოლოდ სახეში მიუღიათ.

კომისიის ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მარტო საქართველოს საკათალიკოსოს და ავტოკეფალიის მოსპობას კი არ მოასწავებდა, არამედ თვით ივერთა ეკლესიის, როგორც ასეთის, საბოლოოდ დამარხვას.

აი, მოკლე ისტორია საქართველოს ეკლესიის საკითხისა 1906—9 წლებში. ამ საკითხის გამო ჩვენში და საზღვარგარედ (ნამეტნავად მართლმადიდებელ ქვეყნებში) დიდი ლიტერატურა შეიქმნა. საზღვარ-გარედ ძალიან დაინტერესებულნი არიან საქართველოს ეკლესიის ბედით. მართლაც და არც ერთი საკითხი ისე დიდ გავლენას არ ახდენს ხალხის სულიერ განწყობილებაზე, როგორც სარწმუნოებისა და ეკლესიის საკითხი. საეკლესიო საკითხის უკუღმართად დაყენებას ან მის გადაწყვეტის დაგვიანებას შეიძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს. საჭიროა თავის დროზე გაიფანტოს და მოისპოს გაუგებრობა, გამოწვეული „ზოგიერთ მოღვაწის“ წყალობით, რომელნიც გაკადნიერდნენ და ჭეშმარიტების გზას გადაუხვიეს“. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ექსარხოსობა და საქართველოს კათალიკოსობა ერთი და იგივე არ არის არც ტერიტორიის, არც ისტორიულის და კანონიკურის თვალსაზრისით, საქართველოს საექსარხოსოში შედიოდნენ და ეხლაც შედიან მთელი ამიერ-კავკასია, ჩრდილოეთი კავკასია და ერთ დროს იმიერ კასპიის მხარეც. საქართველოს საკათოლიკოსო კი განისაზღვრება ორი-სამი გუბერნიით, სადაც უმთავრესად ქართველები მოსახლეობენ. აქვე შედიან ზოგიერთ ერების წარმომადგენელნი, რომელნიც უწინდელ დროიდან ივერთა ეკლესიაში ირიცხებოდნენ. იმ ეპარქიებში, რომლებიც რუსეთის მთავრობის დროს კავკასიაში დაარსდა, სასულიერო და საერო მთავრობას, საეკლესიო კანონების ძალით, შეუძლიან ისე მოიქცეს, როგორც უნდა, მაგრამ ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიის საზღვრებში კი დაცულ უნდა იქმნას ქართველ ხალხის მიერ შემქნილი და მსოფლიო ეკკლესიის მიერ დაკანონებული მართველობის წესრიგი ამორჩეულ კათალიკოსით. სწორედ ასეთის აზრისა და მნიშვნელობისაა 1906 წლის 11 აგვისტოს უმაღლესი ბრძანება: განიხილეთ და მოაწესრიგეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ამასთან ერთად მოაწესრიგეთ საქართველოს საექსარხოსოს იმ ნაწილის საქმეები, რომელიც უწინ საქართველოს საკათალიკოსოში არ შედიოდა. მიუხედავად ამისა, სრულიად რუსეთის წინასწარ საეკლესიო კრების მეორე განყოფილებამ და სინოდის კომისიამ ეს ორი საკითხი ერთი-ერთმანეთში აურია და ვერ გაარჩიეს ერთი-ერთმანეთისაგან. ეს იყო მიზეზი, რომ მათმა მუშაობამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

(შემდეგი იქნება)

* * *

რა გააკეთა წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ

მოხსენება 1909 წლის 13 დეკემბრის საზოგადო კრების გამგეობის თავმჯდომარისაგან *)

წარსული, 6 დეკემბრის, კრების კამათი, რომელსაც ავადმყოფობისა გამო ვერ დავესწარი, მაიძულებს წარმოვუდგინო დღევანდელს საზოგადო კრებას შემდეგი მოკლე მოხსენება:

დიდად სცდება, ვინც ჰფიქრობს, რომ ვითომ გამგეობას შეუცდომლად მიაჩნდეს თავი თავის მოქმედებაში. ჩვენ, უეჭველია, ვერ ავცდებით შეცდომებს, რომლებიც შესაძლებელია და აუცილებელი ინტენსიურ მუშაობის დროს. თქვენი მოვალეობაა, გვიჩვენოთ ეს შეცდომები, მაგრამ არავინ არ უნდა დაივიწყოს ის პირობები, დრო და ვითარება, წრე, რომელშიაც მომწყვდეულნი ვართ, და აგრეთვე ის სახსარი, რომელიც მოგვეცით მიზნის მისაღწევად. მხოლოდ მაშინ, თუ მიიღებთ უეჭველად ამას მხედველობაში, შესძლებთ დასდოთ სამართლიანი მსჯავრი ჩვენს მოღვაწეობას.

თუ ამგვარად შევხედავთ საქმეს, მე, როგორც თავმჯდომარეს გამგეობისას, შემიძლიან დავამოწმო აქ თქვენს წინაშე, რომ ჩემს ამხანაგებს გამგეობაში იმ მოკლე დროის განმავლობაში, რაც თქვენ მიანდეთ საქმეების გაძღოლა, სრულებით არ დაუმსახურებიათ უნდობლობა. ამაში აშკარად დარწმუნდებით, თუ გაიცნობთ იმ მრავალ საკითხს, რომელიც აღძრა გამგეობამ უკანასკნელ ხნის განმავლობაში.

ჩემის უნებურ განმარტების დასასაბუთებლად იძულებული ვარ მოვიყვანო აქ ზოგიერთი ცნობა დღევანდელ გამგეობისა და იმის მუშაობის გეგმის შესახებ.

ახლანდელი გამგეობა არჩეულია 1908 წ. მარტში, ე. ი. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზაფხულს, მუშაობისათვის უძლურ თვეებს, გამოვა, რომ გამგეობა საანგარიშო წლის განაგებდა საქმეებს მხოლოდ ექვს თვეს. ამ ხნის განმავლობაში ახალს გამგეობას ჰქონდა 38 საზოგადო სხდომა, გარდა სექციების სხდომებისა. რიცხვი 1908 წ. განხილულ საგნებისა იყო 455, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე 1907 წ. (179). თუ ამ ციფრების განხილვის დროს არ დაივიწყებთ, რომ გამგეობის წევრები გარდა საზოგადოების მდივნისა, ემსახურებიან საზოგადოების საქმეებს უფასოდ და გარდა თავმჯდომარისა და მდივნისა ყველანი მოღვაწეობენ სახაზინო საპედაგოგიო თუ სხვა საზოგადო ასპარეზზე, რომელიც არც იმდენად უზრუნველჰყოფს ადამიანს ქონებრივად და დატვირთულნი არიან მრავალის შრომით, მგონია, ვერავინ გაჰბედავს, უსაყვედუროს მათ უმოქმედობა საზოგადოების საქმეებში.

ზემოაღნიშნული ციფრები გვიჩვენებენ შრომის რაოდენობას, ხოლო თუ შევეხებით მის შინაარსს, უნდა გავიცნოთ მუშაობის პროგრამა, რომელიც ახალმა გამგეობამ პირველ დღიდანვე დაისახა.

გამგეობის პირველ სხდომებზედვე გამოაშკარავდა, რომ დიდად საჭირო იყო: 1) შრომის განაწილება გამგეობის წევრთა შორის, 2) ფაქტიური შემოწმება საზოგადოების მთელი ქონებისა, და 3) ორ პირველ საკითხის გამორკვევის და აგრეთვე საზოგადოების მიზნის და საშუალების და დროის მოთხოვნილების მიხედვით სისტემატიური გადასინჯვა საზოგადოების უმთავრეს საგნებისა, შედგენა განსაზღვრულ გეგმისა და მტკიცედ შესრულება დასახულ მიზნისა. ამ პროგრამის ფარგალში, რომლის განხილვას და შემუშავებას მოვანდომეთ რამდენიმე სხდომა, დღემდის შესრულებულ იქმნა და მიღებული სახელმძღვანელოდ:

პირველი მუხლის შესახებ. 1) გამგეობის საქმეთა წარმოების ინსტრუქცია (დამტკ. 1909 წ. 5 თებერვალს), 2) კანცელარიის საქმეთა წარმოების ინსტრუქცია (დამტკ. 1909 წ. 5 თებ.), 3) წესი საზოგადოების თანხების განაწილებისა (დამტკიც. (1909 წ. 5 თებ.), 4) ინსტრუქცია წიგნის გაცემის საქმის წარმოებისა (დამტკ. 1909 წ. [illegible]) [illegible] ინსტრუქცია [illegible] თანხების [illegible] სდების [illegible] 20 [illegible])

მეორე მუხლის შესახებ. [illegible] რად შემოწმდა საზოგადოების წიგნის მაღაზია და საწყობი, 4) ფაქტიურად შემოწმდა საზოგადოების წიგნთსაცავი, 3) დაბეჯითებით შემოწმდა საზოგადოების თანხები და კასა, 4) დაწყებულია მუზეუმის შემოწმება და სისტემატიზაცია, ხოლო შეჩერდა უადგილობისა გამო და ეს მუშაობა გაგრძელდება მუზეუმის ახალ შენობაში გადატანის შემდეგ.

საზოგადო საორგანიზაციო საგნებიდან თუ გადავალთ კერძო პრაქტიკულ საკითხებზე, მივითითებთ გამგეობის პრინციპიალურ შეხედულებას და იმას, თუ რას აკეთებს გამგეობა მიზნის მისაღწევად.

სკოლის საკითხი. გამგეობა აღიარებს, რომ ის სკოლები, რომლებიც დღეს მის პირ და პირ გამგებლობაშია, არ აკმაყოფილებენ სავსებით არც საზოგადოებას და არც პედაგოგიის მოთხოვნილებას. ამის უმთავრესი მიზეზია:

1) საშუალების უქონლობა, 2) მომზადებულ მასწავლებელთა სიმცირე, 3) სკოლების შესაფერ ზედამხედველობისა და კონტროლის მოუწყობლობა. ყველა ეს მიზეზი მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან და მათი თავიდან მოშორება დამოკიდებულია უმთავრესად საზოგადოების სახსარზე, ამიტომ უსამართლობა იქნებოდა იმისი თქმა, ვითომც მათი მოსპობა მარტო გამგეობას შეეძლოს. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ კერძოობითის ზომებით შევასუსტოთ ხსენებულ ნაკლულოვანებათა გავლენა.

გამგეობა პრინციპიალურად იმ აზრისაა, რომ უმჯობესია ცოტა კარგად მოწყობილი სკოლა გვქონდეს, ვიდრე ბევრი და ცუდად დაყენებული. მაგრამ გამგეობა ვერა ჰბედავს დახუროს რომელიმე უკვე დაარსებული სკოლა, მასთანავე ერიდება ახალ სკოლის გახსნას და ამყარებს რა მთელს იმედს მომავალ ერობასა და განყოფილებათა მუშაობაზე და თქვენს მატერიალურ დახმარებასე, სცდილობს არსებულ სკოლების გაუმჯობესობას და ახალ საშუალების მოპოვებას მათთვის. ამ მოსაზრებით გამგეობამ იშუამდგომლა დირექციასთან მატერიალურ დახმარების აღმოჩენისათვის, თანახმად ახლად გამოცემულ კანონისა. ჩვენ უკვე მივიდეთ სახალხო სკოლების დირექტო-

---

*) როგორც უკვე ვწერდით, ეს მოხსენება წერა-კითხვის საზოგადოებისა თავმჯდომარის ბ-ნ გ. ყაზბეგის წაკითხულ იქნა 13 დეკემბრის კრებაზე.

პაწია დედა-მიწა ცის-ქვეშეთში და რისთვის იხარჯება აუარებელი ენერგია სამყაროს სივრცეში? რად ჯდება პროგრესი ასე ძვირად, რომ ერთის კლასის, ერთის გვარეულობის, ერთის ტიპის გამომუშავება ათასობითა და მილიონობით თხოულობს მსხვერპლს? რატომა გვაქვს ბევრი სხვა და სხვა გვარი გონებრივ-ზნეობრივი შემეცნებანი, ჭკუა და სინიდისი, თუ მას აბსოლუტური, ე. ი. ჩვენს გარეშემო—იდეალი არა აქვს. რად ხდება, რომ მამა-პაპათა ცოდვები ჩვენ გვაწევს კისერზე, ხოლო ჩვენი ჭირი და სნეულება შვილთა-შვილებზე გადადის? რად არის ასეთი უსამართლობა, რომ ერთი ნიჭიერი და ლამაზი, მდიდარი და გონიერია, მეორე კი მახინჯი და ღატაკი იბადება? ერთის სიტყვით, ყოველსავე ამაზე ბუნება სდუმს, იგი არავითარ პასუხს არ იძლევა: ხსენებულ საკითხებს ბაირონმა „მანფრედი“ და „კაინი“ დაუთმო. ბაირონის კაინი იგივე დემონიური გმირია, რომელსაც ანალიტიური ნიჭი ძალზე განვითარებული აქვს. ის ყველაფრის ახსნას ეძიებს, ყველაფერს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს. აბელი ხასიათით ცხვარია, უკეთესს ცხოვრებისადმი არ მიილტვის, მას ბუნების საიდუმლოებანი არ აინტერესებენ, იგი „მეჩხანურ“ თვით-კმაყოფილებაში განისვენებს. პირიქით, კაინი და მისი დამალება ლიუციფერი კაცობრიობის უკმაყოფილების, მისი პროტესტის, მისი მუდამ კვლევა ძიების და წარმატების საუკეთესო სიმბოლოს წარმოადგენენ.

ფილოსოფიურ პესიმიზმით იმსჭვალება ჩვენი მგოსანიც. იგი ვერ შეჰრიგებია იმ აზრს, რომ მოვა დრო, როცა კაცობრიობის სიცოცხლე შესწყდება და ჟამის უკუნეთს ჩაჰბარდება ჩვენი ძარღვებისა და გონების ნაყოფი—ალისფერ სისხლითა და ნაწურის ოფლით მონაპოვარი კულტურა-ცივილიზაცია.

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას კაცთა საქმე, ვინღა იყოს!..

სასოწარკვეთილებით გაიძახის იგი. პოეტის უარ-ყოფა სავსებით „მერან“-ში გამოიხატა და მისი გენია მხოლოდ აქ ავიდა ბაირონისებურ სიმაღლეზე. ის, რაც დანარჩენ ლექსებში ვერ გაჰბედა მოქალაქობრივ მონობაში, სარწმუნოების გავლენაში აღზრდილმა, პასიურის ტემპერამენტის მქონე მგოსანმა, ყოველსავე იმას აქ მოუყარა თავი. მიყუჩებულმა გრძნობებმა, დაუკმაყოფილებელმა ცნობის-მოყვარეობამ, დაუმთავრებელმა სიტყვებმა, თავ განწირულმა სულის-კვეთებამ—ყველაფერმა „მერან“-ში აღმოსჩქეფა. აქ იგი გაურბის სწორსა და მეგობარს, მშობელთა და სატრფოს, მამულსა და წინაპართ საფლავს; კიდევ მეტი: პოეტი სცდილობს ბედის საზღვარის გადატარებას, საბედისწერო ხვედრის თავიდან აშორებას. „ჩემს შიგნითო, —ამბობს ბაირონის გმირი:—იმყოფება ძალა, ანთია ცეცხლი, რომელიც თავის არსებობის ვიწრო ფარგლებით ვერ კმაყოფილდება და საზღვრებს იქით მიილტვისო“.

ასე იძახის ბარათაშვილიც:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის საზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.
გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავ-განწირულსა შენსა მხედარსა!

4.

ბაირონიზმის პესიმიზმის განვითარება, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ის ღრმა, ფილოსოფიურ შინაარსისა იყო, ბოლოს და ბოლოს მაინც ცხოვრებასთან (გთხოვთ, არ იფიქროთ—საზოგადოებასთან) კომპრომისით დაგვირგვინდა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ბაირონი დარწმუნდა, რომ რაც უნდა ვეცადოთ ცხოვრების ჩამოშორებას, ქვეყნის საზღვრების გადატეხას, სულის სხეულისაგან განთავისუფლებას, მაინც იმავე გალიაში ვართ მიმწყვდეულნი, მაინც ბუნებისა და ცხოვრების შვილები ვართ. თუ გარემოცული წრე ჩვენთვის მკვდარია, ჩვენ იგი არაფერს გვეუბნება, სამაგიეროდ დედამიწის პაწია ბურთზე არსებობს კაცობრიობა, რომელიც სცოცხლობს ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, კვნესის და გმინავს, ილხენს და ხარობს, იყვარებს და იძულებს, ემსახურება საუკეთესო იდეალებს და თავს სწირავს მათ. თუ სამყაროს არსებობას საფუძვლად უვიც-შეგნება არ უდევს, თუ მას ღვთაების ნაპერწკალი არ აცისკროვნებს, სამაგიეროდ, კაცობრიობა, როგორც ზევითა ვსთქვით, სისხლით ჰღებავს, ხოლო ოფლით რწყავს დედ-მიწის ზურგს და ამდენი შრომა-განცდით ჰქმნის კულტურას, ანვითარებს გონებას, ბუნების შემოქმედების ამ უშესანიშნავეს ნაყოფს. შეიძლება ეს კაცობრიობის წარმოშობა უბრალო შემთხვევის ნაყოფია, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ეს ცხოვრება და კაცობრიობა გვიყვარს, ჩვენთვის ისინი მსოფლიო ისტორიის მთავარი ფენომენები არიან (მოვლენები). აქედან ლოგიკური დასკვნა—უნდა ვეცადოთ და კაცობრიობის წარმატებას ხელი შევუწყოთ. ამ აზრს აღგია თანამედროვე პრაქტიკული ფილოსოფია და ამ დასკვნამდი მოვიდა ლოგიკურად ბაირონიც. მაგალითებისთვის შეგვიძლიან გავიხსენოთ მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ჯერ იტალიაში და შემდეგ საბერძნეთში.

ოპტიმისტური ელემენტები გამოსჭვივის ბარათაშვილის პოეზიაშიც. იგიც იმ აზრს ურიგდება, რომ საჭიროა ცხოვრებასთან რამდენადმე მაინც შეთანხმება და მისი კარგ მხარეების განვითარება.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
„უნდა კიდეცა ვსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

მოლბობილი კილოთი გვირჩევს მგოსანი. ან და:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელსა კი არარა არგოს.

იგი დარწმუნებულია, რომ თითოეულ ჩვენ-მიერ წინ-წადგმული ნაბიჯი ბოროტებას ამცირებს, ხოლო სიკეთისას კი ამრავლებს:

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

6

როგორც ზემოხსენებულიდან დავინახეთ, შემცდარია მათი აზრი, ვინც ბაირონსა და ბარათაშვილს, ისე როგორც შოპენგაუერსა და ჰარტმანს, პესიმისტებს ეძახიან. მართალია, პირველებს აქვთ პესიმისტური საფეხურები თავიანთ იდეის განვითარებაში, მაგრამ საბოლოოდ საკითხს მაინც ოპტიმისტურად სჭრიან. სპასოვიჩის სიტყვით, ბაირონიზმი სრულებითაც იმაში არა მდგომარეობდა, რომ ქვეყნის არარაობა ეცნათ, ხოლო ისევ ჭაობში-კი დარჩენილიყვნენ. არა, ბაირონიზმს ხელში თავის იდეალის ლამპარი ეჭირა, მის ბინძურ ცხოვრებაზე უპირატესობას ჰქადაგებდა და ამით მთელ ქვეყანას საბრძოლველად იწვევდა. ცნობილი დანიელი კრიტიკოსი ბრანდესი სწერს ბაირონზე და მის თანამედროვე პოეტებზე: „იმათი მორალი და ცხოვრებაზე შეხედულობა იმ ზომამდეა რეალისტურის ელემენტებით გამსჭვალული, რომ მათ ამ შემთხვევაში ვერც ერთი ხალხი ვერ შეედარება“-ო.

კერძოდ, ნ. ბარათაშვილი ჩვენი ქვეყნის ტიპიური ბაირონისტია. მისი პოეზია იმდენად განირჩევა ბაირონის პოეზიისაგან, რამდენადაც ეს განსაკუთრებულ სუბიექტიურ-ობიექტურ პირობებისაგან იყო დამოკიდებული. ბაირონის უარყოფას ჯერ ისტორიულ-სოციალური მოტივები უდევს საფუძვლად, და იგი მხოლოდ შემდეგ გადადის აბსოლიუტურ უარყოფაზე. ბარათაშვილის უარყოფა კი, სოციალურ საკითხებს თითქმის გაურბისა, თავიდანვე განყენებულ ფორმაშია ჩამოსხმული და მხოლოდ ფსიხოლოგიურ-ფილოსოფიურ ფარგლებში სწარმოებს. ამ გარემოების ახსნას და ხსენებულ პირობების ჩამოთვლას ჩვენ ზევით შევეცადეთ.

ნ. ბარათაშვილი ახალგაზდა მოკვდა—29 წლისა, მეტი რომ ეცოცხლა, ეჭვი არ არის, მისი ნიჭი კიდევ უფრო გაიფურჩქნებოდა და ფრთებს გაშლიდა. ეს-კია აღსანიშნავი, რომ მისი პოეზიის ძირითადი მოტივები იგივე დარჩებოდა შემდეგშიაც. ბარათაშვილი, ისე როგორც ბაირონი, ანალიტიური ნიჭის პატრონი იყო და სინტეტიური, შემოქმედებითი მუშაობა იმის ბუნებას არ შეეძლო. მან მიუთითა მომავალ თაობას ნაყოფიერ მოღვაწეობის აუცილებლობაზე, თითონ-კი მხოლოდ განყენებულის უარყოფით კმაყოფილდებოდა. ნიკ. ბარათაშვილი—რობინზონ კრუზო იყო, რომელიც განმარტოებული იდგა ცხოვრების ერთ ერთ კუნძულზე და მხოლოდ იმ იმედით სცოცხლობდა, რომ ერთ დროს ერთგულნი პარასკევანი მოვიდოდნენ და იმის ცდას ნაყოფს გამოაღებინებდნენ. მართლაც, ბარათაშვილის ხმა არ დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. განვლო წლებმა და მოვიდნენ პარასკევანი—მესამოცე წლების მწერლები, მათ წმიდა ანდერძი ქვაკუთხედად დაუდვეს თავიანთ მოღვაწეობას და ზედ ააგეს ის მეტად სიმპატიური ლიტერატურა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თავის სერიოზულის ხასიათით კაცის გულს ახარებს, ადამიანის თვალს იტაცებს და ჭკუას ღვთაებრივ ნექტარად ეპკურება.

მ. ცეცხლაძე.

რისაგან პასუხი და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება 1910 წლის განმავლობაში.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **საქართველოს ექსარხოსი.** გუშინ ვწერდით, ტფილისში ხმა დადის, რომ ტამბოვის ეპისკოპოსი ინოკენტი საქართველოს ექსარხოსად დაუნიშნიათო. ეს ხმა გამართლდა. დეპეშათა სააგენტო იუწყება: უმაღლესის ბრძანებით, ქართლ-კახეთის მთავარ-ეპისკოპოსად და საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა ტამბოვისა და შაცკის ეპისკოპოსი ინოკენტიო.

✦ **ტფილისის ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 30 საქმიდან 14 დეკემბრის სხდომაზედ მოასწრო 12-მდე საქმის განხილვა. საბჭომ გამგეობის წინადადების თანახმად დაადგინა, ბეითალთა კრებაზე მოსკოვში გაჰგზავნოს ქალაქის ბეითალი ლანგე. შუამდგომლობა ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებისა 5,000 მან. შემწეობის შესახებ გადაეცა თავის აზრის წარმოსადგენად საფინანსო კომისიას. 760 მან. პენსიად დაენიშნა ქალაქის მასწავლებლად ნამყოფს ქ-ნ ვასილიევისას. განცხადება რუსების კლუბისა, საარტისტო საზოგადოებისა და სხვათა საპატენტო გადასახადების უწყსოდ გაწერის შესახებ, გადაეცა იურიდიულ კომისიაში. დასასრულ საბჭომ გადასდო 9,000 მან. ქალაქის ინვენტარის შესადგენად. ამ ფულიდან 4,500 მან. იქნება შეტანილი 1910 წლის, ხოლო დანარჩენი 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

✦ **შემწეობის აღმოჩენა.** ორშაბათს, 14 დეკემბერს, მოხდა შეერთებული სხდომა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატებისა და მარშლებისა. სხვათა შორის, განიხილეს მოხსენება ტფ. ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მდგომარეობის შესახებ. ამ დღეებში ექიმებმა გამოარკვიეს, რომ თავ. ჩერქეზიშვილისათვის საჭიროა პეტერბურგში წასვლა და კიდევ ორი თვის განმავლობაში ექიმობა. საექიმოდ ავადმყოფს დასჭირდება 1500 მან. შეერთებულმა სხდომამ გაითვალისწინა რა თავ. ჩერქეზიშვილის მოღვაწეობა და ხელმოკლეობა, დაადგინა მისცეს 1500 მანეთი. თავ. ჩერქეზიშვილი ორი თვით მიდის ქ. პეტერბურგს პროფესორ ფედოროვთან საექიმოდ.

✦ **წარმომადგენელნი.** როგორც ვწერდით, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ თავის წარმომადგენლებად დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დაკრძალვაზე დასასწრებლად აირჩია მარშლები თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი და თავ. ნ. ა. თუმანიშვილი. გზის ფულად დეპუტატთა საკრებულოს გადაუდვია 3000 მანეთი, მაგრამ წარმომადგენელთ, გაზეთების სიტყვით, ეს ფული ტფ. ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შეუწირავთ.

✦ **გარდაცვალება.** პეტერბურგში გარდაცვლილა კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელი უმაღლეს დაწესებულებებში ბარონი ნოლდე.

✦ **„ნაკადული".** მოგვივიდა დეკემბრის ნომრები საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულისა" მე-12 (მოზრდილთათვის) და მე-23 (მცირე წლოვანთათვის). ამ ნომრებში მოთავსებულია ლექსები და წერილები ვაჟა-ფშაველასი, ეკლოშვილისა, განდეგილისა, ან. ერისთავ-ხოშტარიასი, ნინო ნაკაშიძისა და სხვათა.

✦ **გადმოსახლებულნი.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, სოფელ დუბროვკას რუსები, რუსეთიდან გადმოსახლებულნი გლეხები, სამშობლოში ბრუნდებიან. მიზეზი—მალიარიაა. ავად გამხდარა ოთხმოცსულზედ მეტი.

✦ **უპასპორტოები.** 13-14 დეკემბერს მე-8 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 100 უპასპორტო კაცი.

✦ დღეს, 16 დეკემბერს საღამოს 7 საათზედ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია სხდომა ტფ. ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭოსი. მცირე კომისია მოხსენებას წარუდგენს საბჭოს კლუბისათვის ბინის დაქირავების შესახებ. რამდენადაც შევიტყვეთ, საბჭო კლუბისთვის ბინას ჰქირაობს და მალე კლუბი მოქმედებასაც დაიწყებს.

✦ 14 დეკემბერს დააპატიმრეს ტფილ. მოქალაქე ოსიპოვი, რომელიც 14 დეკემბერს მედუქნის ჩაქურიას (არსენალის გზატკეცილზე), ჩვენებით, თავის ამხანაგთან ერთად, დასცემია ჩაქურიას დუქანს და წაუღია 6 მანეთი ფულად, 12 მანეთიანი ახალუხი და ჩერქეზული ტანისამოსი, 25 მანეთად ღირებული. დაპატიმრებულის სიტყვით, იგი ჩაქურიასთან ერთად ხუთი წლის წინად მეტეხის ციხეში იჯდა; განთავისუფლების შემდეგ ისინი განშორებულან ერთმანეთს და შემდეგ სრულიად შემთხვევით შეხვედრილან. ოსიპოვი ამ დროს ქურდობით სცხოვრობდა და ჩაქურიასაც წინადადება მიუცია, ნაპარევი ნივთები ჩემთან მოიტანე ხოლმეო. ოსიპოვი და მისი ამხანაგი სახელად მიხო ჩაქურიას დუქანში დარჩენილან, აქ 13 დღე გაუტარებიათ და ერთ ღამეს, როდესაც ჩაქურიას ჩასძინებია, წაუღიათ 1 მ. 10 კ. ფულად, ჩერქეზული ტანისამოსი და ახალუხი.

✦ კვირას, 14 დეკემბ. პოლიციამ მე-7 ნაწილში დააპატიმრა სიღნაღის მაზრის მცხოვრები ოჰანეზოვი. ოჰანეზოვი წრეულს ჯარში გაუწვევიათ, მაგრამ გამოქცეულა და ტფილისში იმალებოდა. ამავე დღეს ექიმმა გრიგორ მიხეილის ძე ამბარდანოვმა განაცხადა პოლიციაში: სახლიდან მომპარეს ოქროს და ბრილიანტის ნივთები, სულ 3,000 მანეთისაო. ამბარდანოვს ეჭვი აუღია თავის მოსამსახურეზედ, ქსენია მალაშკინაზედ და ვასილი კოტოლაშვილის კი სახლში წასულა. მის შესახებ შესაფერი ბრძანება გაიცა, სოფელ გაროკის მცხოვრებს (შუშის მაზრა) ალექსანდრე აღგაძეჟანოვისთვის ტფილისის ქალაქის საყასბოს მახლობლად გამართულ გომურიდან მოუპარავთ 16 ღორი. 240 მანეთად ღირებული. ეჭვით დააპატიმრეს ანტონ არუთინას ძე ჯაგინოვი,

სასამართლო

ყუმბარების დამზადება.

14 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ანდრია და პეტრე ვასილიევისა, პავლე ისტოჩნიკოვისა, ალექსანდრე ოტრეშჩენკოსი და ვასილ პეშკინისა. მათ ჰბრალდებოდათ ყუმბარების დამზადება და სხვა და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერების შენახვა.

1909 წელსა 28 მაისს, მეათე ნაწილის ბოქაულს ცნობა მიუღია „ოხრანნი" განყოფილებიდან, რომ მეეტლის პეტრე ვასილიევის ბინაზე ყუმბარებს ამზადებენო. ნაშუაღამევის 3 საათზე ბოქაულს მრავალი პოლიციელების თანხლებით გაუჩხრეკია პ. ვასილიევის სახლი თითონ პ. ვასილიევი შინ არ ყოფილა. ხოლო იმის ბინაზე ყოფილა ანდრია ვასილიევი. სახლის გაჩხრეკის დროს უნახავთ წიგნები, ორი პასპორტი ალ. ოტრეშჩენკოსა და ვასილ პეშკინის სახელზე და ერთიც მეტრიკული აღმოწერილობა პავლე ისტოჩნიკოვის სახელზე. თითონ პ. ისტოჩნიკოვსაც თავლაში სძინებოდა. პოლიციელებს მოუთხოვნიათ ან. ვასილიევისთვის, გამოტეხილიყო და ყუმბარები ეჩვენებინა. ანდ. ვასილიევს ბევრი ყოყმანის შემდეგ აუხდია იატაკი და მიუთითებია იმ ადგილზე, სადაც ყუმბარებს ინახავდნენ. იატაკის ქვეშ ამოთხრილი ყოფილა მიწა და შიგ უნახავთ დამზადებული ყუმბარები და ბევრი, მთავრობის მიერ აკრძალული, ასაფეთქებელი ნივთიერება. პოლიციელების შეკითხვაზე ან. ვასილიევს განუცხადებია: ამ ყუმბარების დამზადებას და მოხმარებაში არავის ჩემთან კავშირი არა აქვსო. როდესაც პოლიციელებს უკითხავთ, რად გინდოდაო, მას უპასუხნია: ეს ადვილი გასაგებია, პოლიციელები ბევრნი ხართ, და თქვენს გასაწყვეტათაო. ამ დროს მოსულა ეტლით სახლის პატრონი პეტრე ვასილიევი და ისიც დაუტუსაღებიათ. მას განუცხადებია, რომ ღამღამობით მე ვმორიგეობ გათენებამდის, სახლში არ მოვდივარ და არ ვიცი რას აკეთებდა ჩემი ნათესავი ანდ. ვასილიევი, რომელსაც როგორც უადგილოსა და გაჭირვებულს, ბინა მივეცი ჩემს სახლშიო. თავლაში მძინარე ისტოჩნიკოვს კი უთქვამს, მეც უადგილოდა ვარ და რადგან პ. ვასილიევს ხან გამოუშვებით აციებდა, მე მივდიოდი ეტლზე მის მაგიერადაო. ამის შემდეგ დაუტუსაღებიათ ალექსანდრე ოტროშჩენკო და ვასილ პეშკინი. პოლიციელების შეკითხვაზე, თუ როგორ გჩნდა მათი პასპორტები ვასილიევის ბინაზეო, მათ განუცხადებიათ, პასპორტები დავკარგეთ და არ ვიცით, როგორ მოჰხვდა ჩვენი პასპორტები ვასილიევის სახლშიო.

სასამართლოში, როდესაც თავმჯდომარე შეეკითხა ანდრია ვასილიევს, რად გინდოდათ ყუმბარებიო, მან მიუგო: მე მშიოდა, ბევრს მივმართე სამსახურისთვის, ყველამ უარი მითხრა. ამის შემდეგ დავიწყე ყუმბარების კეთება და ყიდვა, მით უმეტეს, დიდი გასავალი ჰქონდა, მხოლოდ ეს არის, ყუმბარების მომზადებაში ამხანაგი არა მყოლიაო. დანარჩენმა ბრალდებულებმა სასამართლოში იგივე გაიმეორეს, რაც წინასწარ გამოძიების დროს. ამ საქმის გამო გამოწვეული იყო 16 მოწმე. სასამართლომ კარგა ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშედ იცნო ბრალდებულნი ზოგნი ყუმბარების კეთებაში, ზოგნიც ხელის შეწყობაში და მიუსაჯა ყველას პატიმართა რაზმში გაგზავნა: ანდრია ვასიელევს—4 წლით, პეტრე ვასილიევს—3 წლით, ხოლო ალექსანდრე ოტრეშჩენკოს, პავლე ისტოჩნიკოვს და ვასილ პეშკინს—წელიწადნახევრით,

თეატრი და ხელოვნება

ვერის სახალხო აუდიტორია. დღეს, 16 დეკემბერს, ვერის სახალხო ქართულ სცენის მოყვარენი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავენ საიუბილეო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის 4 მოქმედებიანი პიესა „ხანუმა". წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს თვით ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილისა.

კომისარჟევსკაიას დასის წარმოდგენები ქუთაისსა და ბათუმში. როგორც გავიგეთ, ქ-ნი კომისარჟევსკაია ტფილისიდან მიდის ქუთაისში, სადაც 17 და 18 დეკემბერს დასდგამს ლ. ანდრეევის ცნობილ პიესას „ანფისას" და სტ. პშიბიშევსკის პიესას „ცხოვრების ნადიმს". ქუთაისიდან კომისარჟევსკაია წავა ბათუმს და იქ 19 და 20 დეკემბერს იმავე პიესებს გაიმეორებს.

სპარსეთის ამბები

სეპეხდარის და სარდალ-ასადის თხოვნა.

8 დეკემბერს პირველმა მინისტრმა სეპეხდარმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა სარდალ-ასადმა თხოვნები მიართვეს რეგენტს აზდელმულკს სამსახურიდან გადადგომის შესახებ. მინისტრები სწერენ თავიანთ არზებში: ჩვენ, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა, შევასრულეთ მოვალეობა სამშობლოს წინაშე, როდესაც იგი განსაცდელში იმყოფებოდა," რომ მინისტრის პორტფელები მათ ჩაიბარეს მხოლოდ დროებით, მეჯლისის გახსნამდე და რომ დასასრულ, ეხლა, როდესაც დეპუტატთა პალატა გაიხსნა და წესიერად მუშაობს, „სპარსეთი უიმათოდაც წავა იოლადო."

სეპეხდარი და სარდალ-ასადი ამასთანავე ატყობინებენ რეგენტს, თუ თავისუფალ სახელმწიფოს ხელახლად დაემუქრება რეაქცია, ჩვენ მზადა ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ხალხიო.

რეგენტმა მათი თხოვნა არ შეიწყნარა და მეჯლისს გადასცა განსახილველად.

მეჯლისის დადგენილება.

მეჯლისის დადგენილებით სპარსეთში აიკრძალა ბანგის მოწევა და თავისუფალი ვაჭრობა. ბანგის ჩუმად გაყიდვისთვის დაინიშნა ჯარიმა-40 კაპ. სამ მისხალზე-ეს ჯარიმა პირველ ხანებში იმას მიეცემა, ვინც ჩუმად გამყიდველს აღმოაჩენს.

წესიერების აღდგენა.

ამ ჟამად სპარსეთის მთავრობამ ყველგან აღადგინა სრული წესიერება. არეულობას არდებილში და შახსევანთა თარეშობას კარგა ხანია ბოლო მოეღო. ფიდაების რაზმი, რომელმაც მშვიდობიანობა დაამყარა არდებილში, უკვე დაბრუნდა თეირანს, მგრამ იგი მაინც ყოველ წამს მზადაა, თუ ვინიცობაა უწესობა დაიწყო, ხელახლად გაილაშქროს წესიერების აღსადგენად.

ენზელი-თეირანის შარა გზაზე საოცარი მოძრაობაა; ეტლები არ ჰყოფნის მგზავრებს. სავაჭრო საქონლით დატვირთული ქარავნები განუწყვეტლივ მიდი-მოდიან ამ გზაზე.

თეირანში ბოლო დროს ბევრი ევროპელი ჩავიდა, მომეტებულ ნაწილად ინჟინრები და ვაჭრები.

როგორც ვიცით, ზოგიერთი რუსული გაზეთი იუწყებოდა, არდებილში მშვიდობიანობა რუსის ჯარმა აღადგინაო. სპარსულ გაზეთები თავის მხრივ ირწმუნებიან, რომ არდებილში წესიერებაც სპარსეთის ჯარმა აღადგინა და შახსევნებიც იმან აღაგმაო.

ოსმალეთი

რუსულ ეკლესიების რევიზია.

კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი მოელის რუს ეპისკოპოსს ვლადიმირ კრონშტანტელს, რომელიც ოსმალეთში გაგზავნეს იქ მყოფ რუსულ ეკლესიების დასათვალიერებლად და რევიზიის გასაკეთებლად. მსოფლიო პატრიარქმა გადასწყვიტა, წინააღმდეგობა გაუწიოს ეპისკოპოს ვლადიმირს, თუ იგი იმ რუსულ ეკლესიებს გაუკეთებს რევიზიას, რომლებიც პატრიარქატს ექვემდებარებიანო.

გაზ. „ტანინ"-ის დახურვა.

ახალგაზდა ოსმალთა გაზ. „ტანინ"-მა მეტად მკაცრად გაკიცხა სენატის წევრთა მოქმედება. მთავრობამ დახურა „ტანინ"-ი, მაგრამ მალე ისევ ნება მისცა ახალი სახელით გამოსულიყო. გაზეთს ეხლა დაარქვეს „იენი ტანინ"-ი („ახალი ტანინ"-ი) სენატმა სასამართლოში უჩივლა „ტანინ"-ის რედაქტორს „სენატის შეურაცხყოფისთვის".

აფიცრების დატუსაღება.

მალე ხელახლად გაარჩევენ „ოსმალეთის კონსტიტუციის მამის" მითხად-ფაშის მოკვლის საქმეს. იუსტიციის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ დაატუსაღონ ის აფიცრები, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ მითხად-ფაშის მკვლელობაში.

უცხოეთი

საარჩევნო ბრძოლა ინგლისში.

„რუსკია ვედომოსტი"-ს ლონდონელი კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს იმ ფიცხელ საარჩევნო ბრძოლას, რომელიც გაჩაღებულია ამ ჟამად ინგლისში. კორესპონდენტი სწერს:

„დიდი სადავო საგანი აქვს ინგლისის პარტიებს და აგი ამიტომაც ორივე მხარე არაფერს არ ჰზოგავს და ყოველნაირად ცდილობს, რომ ეხლანდელ დიდებულ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს. ეს მესამე არჩევანს ვესწრები აქა, მაგრამ არც 1900 წელს არც 1906 წელს პარტიებს არ მიუმართავთ ისეთს უკიდურეს საშუალებისთვის, როგორც ეხლა. პროტექციონისტები ხომ სულ წრეს გადადიან.

პროტექციონისტები ამტკიცებენ, რომ თავისუფალი, უბაჟოდ ვაჭრობა ჰღუპავს ინგლისსა და ამიტომ ჩვენც სხვა სახელმწიფოების მსგავსად ბაჟები უნდა დავაწესოთ გარედან შემოტანილ საქონელზე. პროტექციონისტები სულ კონსერვატიულ პარტიის მომხრენი არიან. კონსერვატიულ პარტიას ეხლანდელ ბრძოლაში მხარს უჭერენ მსხვილი მემამულეები, არყისა" და „ლუდის" ქარხნის პატრონები, ბირმინჰამელი მექარხნეები და ბანკირები, რომლების ინტერესი პირდაპირ მოითხოვს კონსერვატორების გამარჯვებას და ლიბერალების დამარცხებას. ამიტომ კონსერვატორების პარტიას დიდ ძალი ფული აქვს საარჩევნო ბრძოლისთვის. კონსერვატიულ პარტიის პროგრამა, რომელიც გამოაცხადა პარტიის მეთაურმა ბალფურმა, მეტად ორჭოფი და გამოურკვეველია. გარკვევით მხოლოდ ისა ჩანს, რომ კონსერვატიული პარტია გადაქცეულა პროტექციონისტების პარტიად. პროგრამა მეტად ბუნდოვანადაა დაწერილი. იქაა ნათქვამი, მაგალითად, რომ „ბაჟების დაწესება გაამრავლებს საქმეს და ამით გადაწყვეტს უმუშევართა საკითხსაო", მაგრამ პროგრამაში კრინტიც არაა დაძრული პურის ბაჟზე. პროგრამაში ნახსენებია კანონი, რომელმაც უნდა ფეხზე წამოაყენოს მესაკუთრე-გლეხთა კლასი, მაგრამ ესეც მეტად ბუნდოვანადაა ნათქვამი. კონსერვატორებს ისე პროგრამის იმედი არა აქვთ, როგორც თავიანთ უთვალავ გაზეთებისა და „მისიონერებისა" (აგენტებისა), რომლებიც მათის მინდობილებით მუშაობენ სოფლებსა და პროვინციალურ ქალაქებში. კონსერვატიული გაზეთები მეტად მკაცრ კილოთი სწერენ თავიანთ პოლიტიკურ მოპირდაპირეთა-ლიბერალთა წინააღმდეგ. ესეთი მკაცრი კილო უმაგალითოა ინგლისში.

მაგალითად, გაზ. „ობსერ" სწერს: „ფრიტრედერებმა (თავისუფალ, უბაჟო ვაჭრობის მომხრეებმა, ესე იგი ლიბერალებმა) გააკოტრეს, გააკოტრეს და ძალზე დაასუსტეს ინგლისი. ეხლა ის ზღვა, რომელიც არტყია ჩვენს ნაპირებს, როდი-და იცავს ინგლისს. ეს ზღვა ეხლა ხაფანგად გადაექცა ჩვენს ხალხს. თუ კიდევ ორიოდე წელს გასტანა ასეთმა პოლიტიკამ, როგორსაც აწარმოებენ ჩვენი სოციალისტი-მინისტრები, ინგლისს უთუოდ დაიპყრობენ გერმანელები. ჩვენი იმპერია დაირღვევა და ინგლისი გერმანიის დაემორჩილებაო". ასე სწერს კონსერვატორების უმთავრესი იდეოლოგი, ოდესმე რესპუბლიკელი და დიდი რევოლუციონერი.

საარჩევნო ბრძოლა რომ დაიწყო, მსხვილ მემამულეებს, ლიბერალების სიძულვილით დაბრმავებულებს, უცნაური ცირკულიარები გაუგზავნათ თავიანთ ფერმერებისა და მოსამსახურეებისთვის. ცირკულიარებში ეწერა: რადგან „რევოლუციონური სამინისტრო" სცარცვავს ლორდებსაო, ამიტომაო ჩვენ ჯამაგირს ვუკლებთ ჩვენს მოსამსახურეებსაო. თუ გინდათ რომ წინანდელი ჯამაგირი გქონდეთ, თუ გინდათ, რომ იჯარა დაგიკლოთ,—თქვენი ხმები კონსერვატორებს მიეცითო".

ლიბერალებმა თავიანთ გაზეთებში დაბეჭდეს ეს ცირკულიარები და სასაცილოდ აიგდეს ლორდები, თან აუხსნეს, რომ ასეთის ძალდატანებისთვის სამართალში მიეცემითო. ამის შემდეგ მემამულეები უფრო საიდუმლოდ გზავნიან თავიანთ ცირკულიარებს.

სამაგიეროდ კონსერვატიულმა პარტიამ აუარებელი „მისიონერი" დაიქირავა და სოფლის ოლქებში გაგზავნა. მისიონერს აცვია მუშის, მეზღვაურის ან სამსახურიდან გადამდგარ ჯარის-კაცის ტანისამოსი. იგი მიდის სოფლის დუქანში, სოფლელ მუშებთან იწყებს ლაპარაკს და ისეთს რამეს უამბობს პროტექციონიზმზე, რის თქმასაც გაზეთში ვერავინ გაბედავს.

— ინგლისში—ამბობს მისიონერი—სოფლის მუშა იღებს 14—17 შილინგს კვირაში. მე მიმუშავნია შეერთებულ შტატებში. იცით, რამდენს იღებს იქ სოფლის მუშა?—10 დოლარს 20 მანეთს) იღებს კვირაში. რისგანაა ესა? იმისგანაა, რომ იქ ბაჟებია დაწესებული, ჩვენში კი თავისუფალი ვაჭრობაა. თუ გინდათ, ბიჭებო, რომ თქვენც მაგდენი ჯამაგირი აიღოთ, — მხარი დაუჭირეთ კონსერვატორებსა და ბაჟების დაწესებას".

წერილი რედ. მიმართ

გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ თქვენს გაზეთს, წერა-კითხვის საზოგადოებას, „კნეინა" ოლგა ქავქავაძისა, ექიმ ელიაშვილს და სხვა მეგობრებს თანაგრძნობისა და სამძიმრისთვის. *)

უარდროპის ოჯახი.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გულ-წრფელი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემოგვწირეს წიგნები მთებში მცხოვრებ ღარიბ მთიულებს შორის გასავრცელებლად. სია შემომწირველთ: კნ. თამარ ზაქარიას ასული თარხნიშვილისა—100 წიგნი, კნ. მარიამ ლევანის ასული მაღალაშვილისა—20 წიგნი და კარანდაშები, მეაფთიაქე იოანე ნაცვლიშვილი—60 წიგნი, ალექსანდრე იაშვილი—29 წიგნი, მიხეილ კიკნაძე—25 წიგნი. გარდა სხვა სამოსწავლო ნივთებისა, დღემდის მაქვს მიღებული მარტო მთიულებისთვის 278 წიგნი.

ან. კაპანაძისა.

---

*) ეს დეპეშა ინგლისიდან მოგვივიდა. რედ.

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—24)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—$1\frac{1}{4}$ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

საღამოთი:

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—$6\frac{1}{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—237)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1909 წელს 19 დეკემბრისათვის გამგეობის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა საჩაიე ცხელი საჭმლით ქალაქის ბაღში ანდრეევისა და აბასთუმნის ქუჩების კუთხეში.

პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილებაში. (3—ნ.—1)

ნიკოლოზ ანტონის ძე საგაევი
ქ. ბათომში.

რადგან ბათომის, ქუთაისის და მისივე მაზრის ბევრმა მცხოვრებმა არ იცის ჩემი სავაჭროს გადატანა ახლად აგებულ «პასაჟში», და ამასთან რადგან ბლომად მაქვს მოგროვილი დიდი ხნის საქონელი და აგრეთვე მიღებული მაქვს დიდ-ძალი ახალი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებისა, ამიტომ **გაიმართა ძლიერ გაიაფებული ბაზარი 7 ამა ქრისტეშობისთვიდან ვიდრე დამლევამდის.**

ფასები დაკლებული იქნება ჩვეულებრივზე **20-დან 60 პროცენტამდის** ყველა ქვემოჩამოთვლილ საქონლებზე: ყოველ-გვარი შუშეულობა, ფარფორის და ფაიანსის სერვიზი, ლამპეული ნავთისა და ელექტრონისა და მისი პროვოდები, ბრონზეული, მელხიორის დანა-ჩანგლები, სპილენძეული, სამოვრები, ემალ-გადაკრული ჭურჭლეული და სამზარეულოს ყოველ-გვარი მოწყობილება—ფეჩქები, ქუხნები ნახშირისა, შეშის თუ ნავთისა, კლიონკები. ყოველ-ნაირი მებელი, სკამები, სარკეები, პირის საბანებლები, რკინის კრაოტები, მატრაცები და სხვა ბევრი ამგვარი საქონელი. იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება მობრძანდება და თვით დარწმუნდება, რომ მართლაც ძლიერ იაფი ფასებია დანიშნული საქონელზე. ვაჭრობა ნაღდზეა და გადაწყვეტილი ფასიც საქონელზეა დაწერილი. (10—ფ.—5)

კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

1910 წ. საქართველოს მოამბე 1910 წ.

მიიღება ხელის მოწერა.

ერთის წლით 4 მან. 50 კაპ., უცხოეთში 6 მან.. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Головинскій просп. д. Манташева, номера „МУХРАНИ" Семену Кипіани

(6—4)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი შ. ს. აგლაძე.